სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პროგრამის შინაარსი

პროგრამის სახელწოდება (ქართულად და ინგლისურად)	**ირანისტიკა/ Persian Studies**
მისანიჭებელი კვალიფიკაცია (ქართულად და ინგლისურად)	სამაგისტრო პროგრამის პირველი ნაწილი: 60 ECTS კრედიტი **ირანისტიკის მაგისტრი/ Master of Persian Studies** სამაგისტრო პროგრამის მეორე ნაწილი: 60 ECTS კრედიტი **კვლევის მაგისტრი ირანისტიკაში / Master of Research in Persian Studies**
პროგრამის მოცულობა კრედიტებით და მათი განაწილება	სამაგისტრო პროგრამის პირველი ნაწილი: 60 ECTS კრედიტი • სავალდებულო სასწავლო კურსები: 40 ECTS კრედიტი • არჩევითი სასწავლო კურსები: 20 ECTS კრედიტი მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების წინაპირობაა სტუდენტის მიერ 60 ECTS სასწავლო კრედიტის დაგროვება. სამაგისტრო პროგრამის მეორე ნაწილი: 60 ECTS კრედიტი • სავალდებულო სასწავლო კურსები: 20 ECTS კრედიტი • არჩევითი სასწავლო კურსები: 10 ECTS კრედიტი • სამაგისტრო ნაშრომი - 30 ECTS კრედიტი კვლევის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების წინაპირობაა სტუდენტის მიერ 60 ECTS კრედიტის დაგროვება და პროგრამის სასწავლო და სამეცნიერო კომპონენტის (30+30 ECTS კრედიტი) შესრულება.
სწავლების ენა	ქართული ენა
პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები /კოორდინატორი	მარინე ალექსიძე, ფილოლოგიის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ირანისტიკის კათედრის ასოცირებული პროფესორი. 599 92 16 47 marine.aleqsidze@tsu.ge; marinalexidze@hotmail.com
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	**მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის I ნაწილზე** (60 კრედიტი) სწავლის წინაპირობაა: ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი ენის

	დაუფლების დეტალურ სფეროში შემავალ კვალიფიკაციაში: 0231.1.17 სპარსული ფილოლოგია/ ირანისტიკა Persian Philology/Persian Studies 0388 ინტერდისციპლინური დეტალური სფეროს კვალიფიკაცია: 0388.1.3 ახლო ან/და შუა აღმოსავლეთის კვლევები ძველი კლასიფიკატორის მიმართულებათშორისი კვალიფიკაცია „აღმოსავლეთმცოდნეობა“ პროგრამაზე სწავლის გარძელების უფლება აქვს ასევე ბაკალავრს, რომელსაც გავლილი აქვს დამატებითი (minor) პროგრამა ირანისტიკაში/სპარსულ ფილოლოგიაში; • ერთიანი სამაგისტრო გამოცდის ჩაბარება; • უცხოური ენის (ინგლისური/ გერმანული/ფრანგული) B1 დონეზე ცოდნის დადასტურება გამოცდით ან საერთაშორისო აღიარების მქონე სერთიფიკატით (სამაგისტრო პროგრამის დამთავრებამდე B2 დონემდე ენის ცოდნის გაუმჯობესების პერსპექტივით); • წერითი გამოცდა სპარსულ ენაში. **მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის II ნაწილზე** (60 კრედიტი) სწავლის გაგრძელების უფლება აქვს პროგრამის პირველი ნაწილის კურსდამთავრებულ **ირანისტიკს** მაგისტრის აკადემიური ხარისხის მქონე პირს. მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის II ნაწილზე სწავლის გაგრძელების დამატებითი პირობები განისაზღვრება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამისი ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის დებულებით, საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად.
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	**ირანისტიკის სამაგისტრო პროგრამის პირველი ნაწილის მიზანია** დარგის ტრადიციებისა და თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით, მოამზადოს ღრმა და სისტემური დარგობრივი ცოდნით აღჭურვილი სპეციალისტი, რომელიც ფლობს საერთაშორისო სტანდარტებით განსაზღვრულ ღრმა დარგობრივ ცოდნას, კომპეტენციებსა

	და უნარებს, რომელთა საფუძველზე: • განსაზღვრავს ირანისტიკის დარგის ძირითად პრობლემებს და უსადაგებს მას ირანისტიკის სფეროში დამკვიდრებულ ძირითად მეთოდოლოგიურ პრინციპებსა და თანამედროვე მიდგომებს. • საფუძვლიანად ერკვევა ირანული ენების ლინგვისტურ მახასიათებლებში, მათი ერთმანეთთან და სხვა ისტორიულად კონტაქტირებად ენებთან ურთიერთობის საკითხებში. აქვს ენობრივი მომზადების მაღალი დონე სპარსულში და შეუძლია მისი ეფექტური პრაქტიკული გამოყენება საქმიან კომუნიკაციებში და პროფესიულ საქმიანობაში. • ავლენს ძველი,საშუალო,კლასიკური და თანამედროვე ეპოქის ირანულ სამყაროში მიმდინარე ენობრივი, ლიტერატურული, რელიგიური და ისტორიულ-კულტურული პროცესების ღრმა და სისტემურ ცოდნას და მათი ანალიზის უნარს. • ერკვევა ისლამურ სამართალში და სასამართლო სისტემაში და აცნობიერებს რელიგიური ფაქტორის როლს თანამედროვე ირანის პოლიტიკურ ცხოვრებაში. • აქვს მაღალი ავტონომიური უნარები პრაქტიკულ საქმიანობაში, კარგად გაცნობიერებული პროფესიული, სოციალური და ეთიკური პასუხისმგებლობები; აქვს კულტურათაშორისი განსხვავებების, კულტურული მრავალფეროვნების აღქმის, ადეკვატური გაგებისა და პატივისცემის უნარი. **ირანისტიკის სამაგისტრო პროგრამის მეორე ნაწილის მიზანია** დარგის ტრადიციებისა და აკადემიური სფეროსა და თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით, მოამზადოს ღრმა და სისტემური დარგობრივი ცოდნით აღჭურვილი სპეციალისტი, რომელიც ფლობს საერთაშორისო სტანდარტებით განსაზღვრულ ღრმა დარგობრივ ცოდნას, კომპეტენციებსა და უნარებს, რომელთა საფუძველზე: • საფუძვლიანად ერკვევა ირანული ენების ლინგვისტურ მახასიათებლებში, მათი ერთმანეთთან და სხვა ისტორიულად კონტაქტირებად ენებთან ურთიერთობის საკითხებში. აქვს ენობრივი მომზადების მაღალი დონე სპარსულში და შეუძლია მისი ეფექტური პრაქტიკული გამოყენება საქმიან კომუნიკაციებში, პროფესიულ აკადემიურ საქმიანობაში ან შემდგომი სწავლის პროცესში. • ავლენს ძველი,საშუალო,კლასიკური და თანამედროვე ეპოქის ირანულ სამყაროში მიმდინარე ენობრივი, ლიტერატურული,

	რელიგიური და ისტორიულ-კულტურული პროცესების ღრმა და სისტემურ ცოდნას და მათი ანალიზის უნარს. • საფუძვლიანად ერკვევა ირანის ისტორიული განვითარების თავისებურებებში; აქვს სპარსული ისტორიოგრაფიის განვითარების კანონზომიერებისა და თავისებურებების საბაზისო ცოდნა; შეუძლია სპარსული ისტორიული წყაროების კრიტიკული შეფასება; აქვს მათი დედანში კითხვისთვის აუცილებელი ენობრივი მომზადება. • ერკვევა ისლამურ სამართალში და სასამართლო სისტემაში, მათი კვლევის პრობლემატიკაში და აცნობიერებს რელიგიური ფაქტორის როლს თანამედროვე ირანის პოლიტიკურ ცხოვრებაში. • განსაზღვრავს ირანისტიკის დარგის ძირითად კვლევით პრობლემებს და უსადაგებს მას ირანისტიკის სფეროში დამკვიდრებულ ძირითად მეთოდოლოგიურ პრინციპებსა და თანამედროვე მიდგომებს. მიღებული თეორიულ ცოდნის გამოყენებით ახორციელებს კომპლექსურ კვლევას და პროფესიულ აკადემიურ საქმიანობას. • აქვს მაღალი ენობრივი უნარები პრაქტიკულ საქმიანობაში, კარგად გაცნობიერებული პროფესიული, სოციალური დაეთიკური პასუხისმგებლობები; აქვს კულტურათაშორისი განსხვავებების, კულტურული მრავალფეროვნების აღქმის, ადეკვატური გაგებისა და პატივისცემის უნარი.
სწავლის შედეგები	პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება განათლების სამაგისტრო დონეს და მისანიჭებელ კვალიფიკაციას (ირანისტიკის მაგისტრი). სწავლის შედეგებში ასახულია ზოგადი (ტრანსფერული) და დარგობრივი კომპეტენციები, უმაღლესი განათლების კვალიფიკაციების ჩარჩოს სამაგისტრო საფეხურის აღმწერისა და ენის ფლობის დარგობრივი მახასიათებლის შესაბამისად. ირანისტიკის სამაგისტრო პროგრამის მიზნების მისაღწევად გამოყენებული სასწავლო კომპონენტები უზრუნველყოფენ შემდეგი შედეგების მიღწევას:
ა) ცოდნა და გაცნობიერება	პროგრამის პირველი ნაწილის კურსდამთავრებული ირანისტიკის მაგისტრი • ავლენს პროფესიული საქმიანობის სფეროს ღრმა, სისტემურ ცოდნას, იცნობს დარგის უახლეს მიღწევებს და ქმნის საფუძველს ინოვაციებისათვის. • ახდენს სპარსულენოვან აკადემიურ სივრცეში მიღებული სხვადასხვა ტიპის ტექსტების სპარსულ ენაზე აკადემიური სპარსულით ფორმულირებას, ეფექტურად აყალიბებს ძირითად მოსაზრებებს

	სპარსულად მთელი რიგი წერილობითი და ზეპირმეტყველების მიზნებისათვის. • სწორად განსაზღვრავს სპარსულიდან ქართულად სათარგმნი ტექსტის სემანტიკურ-სტილისტიკურ სპეციფიკას და აანალიზებს თარგმანის ადეკვატურობის ხარისხს. • აღწერს ირანულ ენათა ჯგუფში შემავალი ენების მორფოლოგიურ-სინტაქსურ მახასიათებლებს და გამოკვეთს მათი ერთმანეთთან და სხვა ისტორიულად კონტაქტირებად ენებთან ურთიერთობის საკითხებს.
გ) უნარები	• ფლობს მაღალ ავტონომიურ უნარებს, უცნობ ან მულტიდისციპლინურ გარემოში მოძიებული ინფორმაცია კრიტიკულად გაანალიზოს, ინფორმაციის ინოვაციური სინთეზისა და შეფასების შედეგად ჩამოაყალიბოს დამაჯერებელი დასკვნები, რომლებშიც აისახება პროფესიული, სოციალური და ეთიკური პასუხისმგებლობები; შეუძლია საკუთარი დასკვნებისა და არგუმენტების წარდგენა პროფესიული საზოგადოებისთვის აკადემიური ეთიკის სტანდარტების დაცვით; • მიმოიხილავს და აანალიზებს ირანის ძველი რელიგიების (ზოროასტრიზმის, მითრაიზმის, მანიქეიზმის), ასევე რელიგიურ-ფილოსოფიური მიმდინარეობის - სუფიზმის მახასიათებლებს, გამოკვეთს ქრისტიანულ სამყაროსთან, განსაკუთრებით, საქართველოსთან მათ კავშირს და განსაზღვრავს თანამედროვე სამყაროში მათ ადგილს; • აღწერს ოფიციალური კულტურული და რელიგიური პოლიტიკის როლს თანამედროვე ირანის პოპულარული კულტურის სხვადასხვა სფეროში (მასმედია, მუსიკა, ქუჩის ხელოვნება - „სტრიტ-არტი“ და სხვა) განვითარების საქმეში, აანალიზებს მასობრივ კულტურაში არსებულ სტერეოტიპებსა და უცხოურ გავლენებს. • განსაზღვრავს თანამედროვე სპარსული პროზაული ჟანრების ადგილს მსოფლიო ლიტერატურული პროცესების პრიზმაში, გამოკვეთს მათ კავშირს როგორც ტრადიციულ სპარსულ ლირიკულ ჟანრებთან, ისე თანამედროვე დასავლურ ნოველასთან; • თავისუფლად ოპერირებს ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა ტიპის სპარსულენოვანი ტექსტებით, თარგმნის, განმარტავს და ახდენს მათ სინთეზს.
გ) პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა	• თავისუფლად მოქმედებს კომპლექსურ, არაპროგნოზირებად ან მულტიდისციპლინურ სამუშაო გარემოში ახალი სტრატეგიული

	მიდგომების მეშვეობით. • ავლენს ირანის ეთნიკურ-კულტურული მრავალფეროვნების პატივისცემას და უცხო ენობრივ-რელიგიური სამყაროსადმი ტოლერანტულ მიდგომას.
სწავლის შედეგები	პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება განათლების სამაგისტრო დონეს და მისანიჭებელ კვალიფიკაციას (ირანისტიკის კვლევის მაგისტრი). სწავლის შედეგებში ასახულია ზოგადი (ტრანსფერული) და დარგობრივი კომპეტენციები, უმაღლესი განათლების კვალიფიკაციების ჩარჩოს სამაგისტრო საფეხურის აღმწერისა და ენის ფლობის დარგობრივი მახასიათებლის შესაბამისად. ირანისტიკის სამაგისტრო პროგრამის მიზნების მისაღწევად გამოყენებული სასწავლო და კვლევითი კომპონენტები უზრუნველყოფენ შემდეგი შედეგების მიღწევას:
ა) ცოდნა და გაცნობიერება	პროგრამის მეორე ნაწილის კურსდამთავრებული ირანისტიკის კვლევის მაგისტრი • ახდენს სპარსულენოვან აკადემიურ სივრცეში მიღებული სხვადასხვა ტიპის ტექსტების სპარსულ ენაზე აკადემიური სპარსულით ფორმულირებას, ეფექტურად აყალიბებს ძირითად მოსაზრებებს სპარსულად არგუმენტებისა და კონტრარგუმენტების ტექნიკის გამოყენებით მთელი რიგი აკადემიური წერილობითი და ზეპირმეტყველების მიზნებისათვის. • თარგმნის ადეკვატურობის მაღალი ხარისხით. აღწერს და გამოკვეთს ირანულ ენათა ჯგუფში შემავალი ენების სამეცნიერო-კვლევით პრობლემატიკას;
ბ) უნარები	• კრიტიკულად კითხულობს და ამუშავებს ირანის ისტორიის ძირითად სპარსულ, ევროპულ და ქართულ წყაროებს და ახდენს მათი მონაცემების შეჯერება-შეფასებას და სამეცნიერო კომენტირებას; • გამოკვეთს სპარსული ლიტერატურის კვლევით პრობლემატიკას; • თანამედროვე ფილოლოგიური და ისტორიული კვლევის მეთოდების გამოყენებით ატარებს ირანისტიკის სხვადასხვა დრგობრივი პრობლემის კომპლექსურ კვლევას, საკვლევი პრობლემატიკის თეორიულ საფუძვლად იყენებს როგორც

	დარგის დამკვიდრებულ ძირითად მეთოდოლოგიურ პრინციპებს, ისე თანამედროვე მიდგომებს; ამ კვლევის შედეგების დემონსტრირებას ახდენს პროფესიულ საზოგადოებასთან ზეპირი და წერილობითი ფორმით; • დამოუკიდებლად მოიძიებს, კითხულობს და კრიტიკულად აანალიზებს უახლეს დარგობრივ სამეცნიერო ლიტერატურას და იყენებს მათ კომპლექსურ მულტიდისციპლინურ კვლევებში;
გ) პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა	• აკადემიური ეთიკის დაცვით და მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობით წარმართავს კომპლექსურ სამეცნიერო-კვლევით მუშაობას და ახდენს აკადემიური კეთილსინდისიერების დემონსტრირებას. • ავლენს ირანის ეთნიკურ-კულტურული მრავალფეროვნების პატივისცემას და უცხო ენობრივ-რელიგიური სამყაროსადმი ტოლერანტულ მიდგომას.
სწავლება-სწავლის მეთოდები	სწავლის შედეგების მისაღწევად პროგრამა ლექციის, სამუშაო ჯგუფში მონაწილეობის, სემინარის, პრაქტიკულ მეცადინეობებზე საშინაო დავალების, შუალედური შეფასების, პრეზენტაციის, რეფერატის, სამაგისტრო ნაშრომის, დასკვნითი გამოცდის და სხვ. ფორმატში იყენებს ვერბალურ, წიგნზე მუშაობის, ანალიზისა და სინთეზის, ახსნა–განმარტებით, ჯგუფურ, დისკუსიასა და დებატებში მონაწილეობის, დემონსტრირების, როლური და სიტუაციური თამაშებისა და სხვა მეთოდებს. დარგობრივი ცოდნის შეძენისას პროგრამის კურიკულუმში ჩართული თითოეული დისციპლინა, თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე, ირჩევს სწავლების მეთოდოლოგიურ მიდგომებს, რაც, უწინარეს ყოვლისა, გამოიხატება სწავლებისა და სწავლის სტრატეგიის განსაზღვრაში და დროის მართებულად ორგანიზებაში, ცოდნის მაღალი ხარისხის მისაღწევად. პროგრამის შემადგენელი კონკრეტული სასწავლო კურსის სწავლების პროცესში გამოყენებული ფორმატი და სწავლების მეთოდები მითითებულია თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება დროის მართებულ განაწილებას და სწავლების მეთოდთა სწორად შერჩევას სამუშაო ჯგუფებში, პრაქტიკულ მეცადინეობებსა და პრეზენტაციებისას, რადგან სწორად დაგეგმილი და განხორციელებული ზეპირი კომუნიკაცია საუდიტორიო მუშაობას უფრო ეფექტურს ხდის.

	განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ენის სწავლების სტრატეგიის მართებულად შერჩევას, მისი თითოეული ეტაპის მომზადებას, სწორად დაგეგმვას, მოსალოდნელი შედეგების რეალისტურ გათვლას და მათ ეტაპობრივ რეალიზებას. ამგვარი სტრატეგიისა და დაგეგმვის აუცილებლობა განპირობებულია იმ ფაქტორით, რომ ირანისტიკის პროგრამა ენით მარკირებული პროგრამაა, რომლის ბევრი თეორიული სალექციო და პრაქტიკული კურსი სასპეციალიზაციო ენაზე და უცხოენოვან ტექსტზე ორიენტირებულ სწავლებაზეა დაფუძნებული. სასპეციალიზაციო სფეროს ცოდნის გაღრმავების მიზნით ყოველწლიურად ეწყობა სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციები, მუშაობს სტუდენტთა სამეცნიერო წრეები. სტუდენტები ინფორმირებული და ჩართული არიან აღმოსავლეთმცოდნეობის ს/ს ინსტიტუტის მუდმივმოქმედი სამეცნიერო სემინარის მუშაობაში.
შეფასების სისტემა	**შეფასების მოქმედი სისტემა გულისხმობს:** **ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას –** (A) ფრიადი – 91-100 ქულა; (B) ძალიან კარგი – 81-90 ქულა; (C) კარგი – 71-80 ქულა; (D) დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა; (E) საკმარისი – 51-60 ქულა. **ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას –** (FX) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა (აღნიშნული შეფასება სტუდენტს დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლებას აძლევს; 41-50 ქულა, თავის მხრივ, მოწმობს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება, რაც მან დამოუკიდებლად, ლექტორის დაუხმარებლად უნდა შეძლოს). (F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები (აღნიშნული შეფასება მოწმობს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანის გავლა ხელმეორედ მოუწევს). **FX-ის მიღების შემთხვევაში** დამატებითი გამოცდა ინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არაუადრეს 5 დღისა. დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით გამოცდაზე მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული ქულათა რაოდენობა (და არა დასკვნითი გამოცდის ქულები) ემატება გამოცდამდე დაგროვილ ქულათა რაოდენობას

	და ორივე ერთად ქმნის კურსის საბოლოო შეფასებას. დასკვნით გამოცდაზე დაშვების წინაპირობა: სტუდენტს სემესტრის განმავლობაში დაგროვილი უნდა ჰქონდეს არანაკლებ **21** ქულისა. გამოცდა ჩაბარებულად ითვლება, თუ სტუდნტი დააგროვებს დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური შეფასების ნახევარს. თუ კურსის საბოლოო შეფასება 50-ს არ აღემატება (0-50 ქულაა), ფორმდება F– 0 ქულა. შესაბამისად, სასწავლო კურსის საბოლოო მინიმალური დადებითი შეფასება 51 ქულაა. ერთი და იმავე სავალდებულო საგანში სამჯერ F შეფასების მიღება წარმოადგენს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველს. ამ შემთხვევაში სტუდენტს უფლება აქვს ისარგებლოს მობილობით. კვლევითი კომპონენტი (სამაგისტრო ნაშრომი) ფასდება საჯარო დაცვაზე, სადაც მაგისტრანტი დაიშვება ნაშრომის წინასწარი დაცვის წარმატებით გავლის, სამეცნიერო ხელმძღვანელის სათანადო დასკვნისა და სამაგისტრო ნაშრომის Turnitin ელექტრონულ პროგრამაზე პლაგიატის პრევენციის მიზნით გატარების შემდეგ. სამაგისტრო ნაშრომის შეფასების მნიშვნელოვანი ნაწილია დარგის სპეციალისტის რეცენზია (მაქს. 60 ქულიდან მინიმუმ 31 ქულის მიღების გარეშე საჯარო დაცვაზე მაგისტრანტი პრეზენტაციით ვერ წარსდგება) და მაგისტრანტის მიერ კვლევის შედეგების ზეპირი პრეზენტაცია დაცვის კომისიის წინაშე (მაქს. 40 ქულიდან მინიმუმ 20 ქულის მიღება აუცილებელია). სამაგისტრო ნაშრომის საბოლოო შეფასება წარმოადგენს რეცენზენტის მიერ დაწერილი ქულისა და სამაგისტრო ნაშრომების დაცვის კომისიის შეფასების ჯამს. სამაგისტრო ნაშრომი დაცულად ჩაითვლება და მაგისტრანტს შესაბამისი კრედიტი მიენიჭება, თუ მის მიერ მიღებული საბოლოო შეფასება 51 ან მეტი ქულის ტოლია. სამაგისტრო ნაშრომის არადამაკმაყოფილებლად (F/FX) შეფასების შემთხვევაში, მისი დაცვაზე წარდგენა იმავე სემესტრში დაუშვებელია.
დასაქმების სფეროები	ირანისტიკის სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში შეძენილი მრავალმხრივი დარგობრივი და ზოგადი (ტრანსფერული) უნარების დახმარებით, კურსდამთავრებული შესაძლებელია დასაქმდეს საქართველოს ყველა სახელმწიფო თუ არასამთავრობო საზოგადოებრივ დაწესებულებაში,

	კერძოდ: საქართველოს სახელმწიფო და კერძო სტრუქტურები: • საგანმანათლებლო, სასწავლო და სამეცნიერო–კვლევითი პროფილის მქონე ორგანიზაციებში (სამაგისტრო განათლების შესაბამის პოზიციებზე); • დიპლომატიურ წარმომადგენლობებსა და მისიებში, საერთაშორისო კომპანიებში თარჯიმნის პოზიციაზე; • საქართველოს საელჩო ირანის ისლამურ რესპუბლიკაში (მთარგმნრლობით პოზიციაზე); • შინაგან საქმეთა სამინისტრო (მთარგმნრლობით პოზიციაზე); • თავდაცვის სამინისტრო (მთარგმნრლობით პოზიციაზე); • სახელმწიფო უშიშროების სამსახური (მთარგმნრლობით პოზიციაზე); • ეროვნული თავდაცვის აკადემია (მთარგმნრლობით პოზიციაზე); • ანალიტიკური და სტრატეგიული კვლევების ცენტრები; • სახელმწიფო ენის დეპარტამენტი; • საქართველოს ეროვნული მუზეუმი; • კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი; • უმაღლესი სასწავლო დაწესებულებები; • კერძო და საჯარო სკოლები; • საგამომცემლო დაწესებულებებსა და რედაქციებში; • ტურისტული კომპანიები; • სათარჯიმნო და სანოტარო ბიუროებში; • კულტურის სფეროს დაწესებულებებში; • ენის შემსწავლელი ცენტრები; • სავაჭრო პალატები; • საგამომცემლო დაწესებულებებსა და რედაქციებში; • მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში (პრესა, ტელევიზია, რადიო, ინტერნეტ–გამოცემები და სხვ.); • საჯარო და კერძო სექტორში სასპეციალიზაციო და ზოგადტრანსფერული უნარების საფუძველზე. საერთაშორისო სახელმწიფო და კერძო სტრუქტურები: • საქართველოში ირანის ისლამური რესპუბლიკის საელჩო; • საქართველოში ირანის ისლამური რესპუბლიკის საელჩოს კულტურის განყოფილება; • საქართველოში მოქმედი ირანული სავაჭრო, სამშენებლო, ტურისტული და სხვა კომპანიები.
სწავლის საფასური საქართველოს	- საქართველოს მოქალაქის სწავლას სრულად აფინანსებს

მოქალაქე და უცხო ქვეყნის მოქალაქე სტუდენტებისათვის	სახელმწიფო; - სხვა პირის სწავლის სახელმწიფოს მიერ დაფინანსების წესსა და პირობებს ადგენს საქართველოს მთავრობა.
პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ადამიანური და მატერიალური რესურსი	ადამიანური რესურსი: პროგრამის განხორციელებაში ჩართული არიან თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ს/ს ინსტიტუტის ირანისტიკის კათედრის პროფესორები და მოწვეული პედაგოგები: • მარინე ალექსიძე, ირანისტიკის სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი. • თეა შურღაია, ირანისტიკის კათედრის ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი; • მანანა კვაჭაძე, ასოცირებული პროფესორი; • ფატმან ანთაძე-მალაშხია, ასოცირებული პროფესორი; • მზია ბურჯანაძე, ასოცირებული პროფესორი; • თეა პიტიურიშვილი, ისტორიის დოქტორი, მოწვეული პედაგოგი. ასევე თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ს/ს ინსტიტუტისა და შესაბამისი პროფილის სხვა ს/ს ინსტიტუტების აკადემიური პერსონალი და მოწვეული ლექტორები: • ნანი გელოვანი, პროფესორი • მირიან მახარაძე, ასოცირებული პროფესორი; • გიორგი ლობჟანიძე, ასოცირებული პროფესორი; • ომიკო ეჯიბია, ასისტენტ-პროფესორი ირანისტიკის სამაგისტრო პროგრამის განმახორციელებელი თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ს/ს ინსტიტუტის მატერიალური და ტექნიკური რესურსები (სამუშაო ოთახები, კომპიუტერული ტექნიკა, დარგობრივი ბიბლიოთეკა, ინტერნეტი და სხვ.) სავსებით შეესაბამება სამაგისტრო პროგრამის მიზნებსა და შედეგებს. ირანის საელჩოს კულტურის განყოფილების ხელშეწყობით, სამუშაო ოთახები აღჭურვილია კომპიუტერებით ხმის გამაძლიერებლებით, ტელევიზორებით და სატელიტური ანტენებით, ვიდეომაგნიტოფონებით და სხვა. პროგრამის სტუდენტს შეუძლია ისარგებლოს როგორც საფაკულტეტო, ისე საუნივერსიტეტო სამეცნიერო ბიბლიოთეკებით და კომპიუტერული რესურსცენტერებით, რომლებიც უზრუნველყოფენ თავისუფალ წვდომას ციფრულ რესურსებსა და სამეცნიერო ლიტერატურის ელექტრონულ ბაზე-

	ბზე. კათედრას აქვს საკუთარი ბიბლიოთეკა, რომელიც დიდწილად ყოფილი თუ ამჟამინდელი თანამშრომლების კერძო ბიბლიოთეკებით დაკომპლექტდა. ბიბლიოთეკის ფონდი ყოველწლიურად მდიდრდება ირანის საელჩოს კულტურის განყოფილების ნაჩუქარი წიგნებით, ლექსიკონებით და სასწავლო ლიტერატურით, ასევე ირანში გამომავალი სამეცნიერო და სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალებით, ირანული ფილმების DVD-ებით და სასწავლო CD და DVD-ებით. საელჩო მუდმივად ამარაგებს კათედრას უახლესი სახელმძღვანელოებით, რომლებიც სტუდენტებს უფასოდ გადაეცემათ. სამაგისტრო პროგრამის სტუდენტთათვის პროგრამის გამართული მუშაობა უზრუნველყოფილია შემდეგი მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით: • თსუ-ს კომპიუტერული ბაზები და კომპიუტერული ცენტრები; • თსუ-ს და ფაკულტეტის რესურს–ცენტრები; • ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკები (ცენტრალური საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკა უნივერსიტეტის ქუჩა N11-ში; თსუ-ს ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა მ. ალექსიძის ქუჩის მე-2 შესახვევი N3-ში; საბიბლიოთეკო დარბაზები და წიგნსაცავები: შოთა რუსთაველის სახელობის სამკითხველო დარბაზი ი. ჭავჭავაძის გამზირი N1-ში, თსუ I კორპუსი; გრიგოლ წერეთლის სახელობის სამკითხველო დარბაზი უნივერსიტეტის ქუჩა N11-ში; სიმონ ყაუხჩიშვილის სახელობის სამკითხველო დარბაზი ი. ჭავჭავაძის გამზირი N13-ში, თსუ VIII კორპუსი; აღმოსავლეთმცოდნეობის სამკითხველო დარბაზი ი. ჭავჭავაძის გამზირი N36-ში, თსუ V კორპუსი https://www.tsu.ge/ka/library • აღსანიშნავია ასევე, რომ 2001 წლიდან ირანისტიკის კათედრასთან ფუნქციონირებს ირანის საელჩოს მიერ გახსნილი „ირანის კაბინეტი“, რომელიც აღჭურვილია სწავლების აუდიო-ვიდეო საშუალებებით (ტელევიზორი, სატელიტური ანტენა, პერსონალური კომპიუტერი, მაგნიტოფონი, ვიდეომაგნიტოფონი, აუდიო და ვიდეო კასეტები და კომპაქტ-დისკები). • თსუ-ს ელექტრონული სწავლების პორტალი; https://e-learning.tsu.ge/ • თსუ-ს სტუდენტებს და პროფესორ-მასწავლებლებს შეუზღუდავი და ულიმიტო წვდომა აქვთ ისეთ ელექტრონულ ბაზებსა და ჟურნალებზე, როგორებიცაა: EBSCO Publishing, Cambridge University Journals, JStor, Scopus და სხვ. https://www.tsu.ge/ka/library/page/893 • ადამიანური და მატერიალური რესურსიდან გამომდინარე, პროგრამაზე შესაძლებელია მაქს. 15 სტუდენტის მიღება.

პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა	პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა ხდება თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიუჯეტიდან, რომელიც უნივერსიტეტის ბიუჯეტის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. საფაკულტეტო ბიუჯეტი უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალისა და მოწვეული ლექტორების შრომის ანაზღაურებას, პროგრამის მატერიალურ–ტექნიკური ბაზის მოვლასა და სრულყოფას, პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი სამეცნიერო და საგანმანთლებლო ღონისძიებების ჩატარებას.
დამატებითი ინფორმაცია (საჭიროების შემთხვევაში)	ირანის საელჩოს შუამდგომლობით ირანისტიკის კათედრას საშუალება აქვს ირანული მხარის დაფინანსებით სტუდენტებისთვის მოიწვიოს სპარსული ენის პედაგოგები ირანის სხვადასხვა უნივერსიტეტიდან ან საგანმანათლებლო ცენტრიდან.